

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

17 იანვარი, 2011

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ № 75

სხდომის დაწყების დრო 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ბაბა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ქეთევან ბექაური, გონა სვანიძე, იოსებ ბარათაშვილი, მზიად კორძაძე, იმედა ღვალაძე, ნოდარ ფეიქრიშვილი, ცისმარი ონიანი.

დღის წესრიგი:

1. განზრახ მიიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი ადვოკატების (ლარისა ზარნაძე, ნანა ფრუიძე, ლალი ბუნტური, მაკა ხვინგია, ალექსანდრე გიოშვილი, როლანდ შონია, რუსუდან ცერცვაძე, მიხეილ ვერულაშვილი, ხათუნა ხურცილავა, ია მინდორაშვილი) შესახებ საკითხის განხილვა;
2. ბატონ ზვიად კორძაძის ინიციატივა ადვოკატის დღის დაწესებასთან დაკავშირებით;
3. ადვოკატთა ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი პლასტიკური ბარათის ნიმუშის დამტკიცება;
4. სადაზღვევო კომპანიების მიერ წარმოდგენილი დაზღვევის წინადადებების შესახებ მსჯელობა და გამარჯვებული კომპანიის დასახელება;
5. ქალბატონ ცისმარი ონიანის წინადადება: განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ამოქმედება 2010 წლის 1 მარტიდან; განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის და ვადის განსაზღვრა ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის ;
6. ახალი წევრების მიღება და ხელახალი გაწევრიანება;
7. ბატონ ზვიად კორძაძის ინიციატივა: საერთაშორისო ორგანიზაციებზე მიმართვის ტექსტის განხილვა და დამტკიცება, განგრძობადი იურიდიული განათლების დაფინანსების და განგრძობადი იურიდიული განათლების ამოქმედების ხელშეწყობაში დახმარების აღმოჩენის მიზნით;
8. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის დებულების დამტკიცება;

9. სხვადასხვა

დღის წესრიგის საკითხებზე მსჯელობის შედეგად, საბჭომ

გ ა დ ა წ ე ვ ი ტ ა:

1. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ 21³ მუხლის, 1 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის საფუძველზე საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტა და ადვოკატთა მოქმედი სიიდან ამოღება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შემდეგი წევრი ადვოკატების მიმართ: **1. ლარისა ზარნაძე, 2. ნანა ფრუიძე, 3. ლალი ბუნტური, 4. მაკა ხვინგია, 5. ალექსანდრე გიოშვილი, 6. როლანდ შონია, 7. რუსუდან ცერცვაძე, 8. ხათუნა ხურცილავა, 9. ია მინდორაშვილი.**
2. ადვოკატის დღის დაწესებასთან დაკავშირებით მომზადდეს წინადადებები და განხილულ იქნას საბჭოს შემდგომ სხდომაზე;
3. სხდომაზე წარმოდგენილი პლასტიკური ბარათების ნიმუშებიდან დამტკიცებულ იქნას ერთ-ერთი ნიმუში;
4. სადაზღვევო კომპანიების მიერ წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულების პროექტები;
5. აღმასრულებელი მდივნის და სასწავლო ცენტრის უფროსის მიერ მომზადდეს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული განგრძობადი იურიდიული განათლების გამოცდილების ანალიზი;
6. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით;
7. დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილება შეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი რეგისტრაციისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწევრიანებაზე.
8. განგრძობადი იურიდიული განათლების დაფინანსების და განგრძობადი იურიდიული განათლების ამოქმედების ხელშეწყობაში დახმარების აღმოჩენის მიზნით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების გადათარგმნილი და დამოწმებული ვერსია გადაეგზავნოს ყველა დონორ საერთაშორისო ორგანიზაციას ;
9. მერვე საკითხის განხილვა გადაიდო საბჭოს შემდგომი სხდომისთვის ;
10. საბჭოს შემდეგი სხდომა ჩაინიშნა 31 იანვარს.

ზაზა ხატიაშვილი

ასოციაციის თავმჯდომარე